პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1920 გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 19 აგვისტო, 1978 წ. № 195 (17239) ფასი 2 კაპ.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

## პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის ავანგარდში

### 22 აგვისტოს მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ეწყობა ქუთაისის დღე

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზანს უნდა ემსახურებოდეს დაგეგმვისა და მართვის მთელი მექანიზმი, მატერიალური და მორალური წახალისების მთელი სისტემა, ინჟინრებისა და კონსტრუქტორების მეცადინეობა, მუშების ოსტატობა. ამას უნდა აქცევდნენ დღენიადაგ ყურადღებას პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები და კომკავშირი.

ლ. ი. ბრეჟნევი.



(„ქუთაისის დღისადმი" მიძღვნილ მასალებს გაეცნობით მეორე გვერდზე).

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა და შაქრის ქარხნის მუშაკთა ინიციატივა, რომლებმაც შრომითი თანამშრომლობის საფუძველზე 1978 წელს შაქრის წარმოების და ჭარხლის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მისი მაქსიმალური გამოსავლიანობის უზრუნველყოფის ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ჩვენი ქვეყნის მეჭარხლეობის რაიონების სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს რეკომენდაცია ეძლევათ შეიმუშაონ და განახორციელონ მეჭარხლეთა და შაქრის მრეწველობის მუშაკთა შრომითი თანამეგობრობის გამოცდილების ფართო გავრცელების, ჭარხლის დამზადებისა და შაქრის გადამუშავების გეგმა-ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების პრაქტიკული ღონისძიებანი.

# დამკვრელური შრომით

ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა და შაქრის ქარხნის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი 1978 წელს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ზეგეგმითი მიყიდვისა და შაქრის წარმოების, ჭარხლის პლანტაციის ერთ ჰექტარზე მისი მაქსიმალური გამოსავლიანობის უზრუნველყოფისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეები და შაქრის ქარხნის მუშაკები ვკისრულობთ ახალ, უფრო გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს 1978 წელს შაქრის ზეგეგმითი წარმოების, ერთ ჰექტარ შაქრის ჭარხლის პლანტაციაზე მისი გამოსავლიანობის გადიდებისათვის.

ყველა ჩვენგანისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებას, რომელიც მან ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში მოგვცა იმის შესახებ რომ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის პირობებში საჭიროა გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებთან მისი კარგად მოგვარებული თანამშრომლობა. ვხელმძღვანელობთ რა ამ მითითებით, გადავწყვიტეთ კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავაღრმავოთ ერთმანეთს შორის საქმიანი ურთიერთობა და მჭიდრო თანამეგობრობა. შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების, დამზადების, შენახვისა და გადამუშავების ერთიანი კომპლექსური გეგმის განხორციელების საფუძველზე მივაღწიოთ მაღალ საბოლოო შედეგებს — წელს პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი თეთრი შაქარი და დამატებით გამოვიმუშაოთ 4000 ტონა შაქარი ჭარხლის ზეგეგმითი დამზადებისა და ნედლეულის შენახვისა და გადამუშავებისას დანაკარგების შემცირების გზით.

გადიდებულ ვალდებულებათა შესასრულებლად მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისათვის მეჭარხლეობის მეურნეობებმა და შაქრის ქარხანამ ხელშეკრულებანი დადეს შრომითი თანამშრომლობის შესახებ.

მეჭარხლეებმა ვალდებულება იკისრეს დროულად და მაღალხარისხოვნად განახორციელონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს შაქრის ჭარხლის უდიდესი მოსავლის მიღებას მისი შაქრიანობის გადიდებას და იმას, რომ სახელმწიფოს მიჰყიდონ 880 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, რაც 30 ათასი ტონით აღემატება ადრე ნაკისრ ვალდებულებებს. ეფექტიანად გამოიყენონ მოსავლის ასაღები ტექნიკა. მოაწყონ იპატოვოელთა მეთოდით 20 მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო რაზმის მაღალმწარმოებლური მუშაობა. მთელ ფართობზე გამოიყენონ მასალის ნაკადური და ნაკადურ-გადასაზიდი მეთოდები. ქარხანაში მიიტანონ მაღალხარისხოვანი ნედლეული, რაც ხელს შეუწყობს შაქრის ქარხნის მუშაობის გაუმჯობესებას და საბოლოო ანგარიშით შაქრის გამოსავლიანობის გადიდებას.

შაქრის ქარხნის მუშაკებმა პირობა დადეს უზრუნველყონ მთელი შაქრის ჭარხლის მიღება შაქრის ჭარხლის ხელით გაწმენდის გარეშე, დღე-ღამის განმავლობაში და შეუფერხებლად გადმოტვირთონ შაქრის ჭარხალი ყველა სახეობის ტრანსპორტიდან. ეს კოლმეურნეობებს საშუალებას მისცემს მთლიანად მექანიზებული გახადონ მთელი მოსავლის ასაღები სამუშაოები, შეამცირონ ხელის შრომის დანახარჯები, თავიდან აიცილონ მოსავლის დანაკარგები, განახორციელონ დამზადებული შაქრის ჭარხლის მთლიანი შენარჩუნების ღონისძიებათა კომპლექსი. ქარხნის საშუალო-სადღეღამისო მწარმოებლობა საგეგმო დავალებასთან შედარებით გაადიდონ 8 პროცენტით და ნედლეულის გადამუშავების სეზონი შეამცირონ 10 დღით. გამოიმუშაონ შაქარი არაუდაბლეს პირველი კატეგორიის ხარისხისა. შეამცირონ მისი თვითღირებულება და მიიღონ 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ჩვენ გვესმის, რომ მეჭარხლეებისა და შაქრის ქარხნის მუშაკთა საბოლოო მიზანი ერთია — მივიღოთ რაც შეიძლება მეტი შაქარი ჭარხლის პლანტაციის ერთ ჰექტარზე და ამ ამოცანის გადაწყვეტას მოვახმაროთ მთელი ჩვენი ერთობლივი მეცადინეობა.

მოსავლის ასაღებ სამუშაოებს იმ ვარაუდით ჩავატარებთ, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ შაქრის ჭარხლის მატებისა და მისგან შაქრის დაგროვების შესაძლებლობანი. მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე შაქრის ჭარხლის ამოღებას დავიწყებთ მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს შაქრის ქარხნებში ნედლეულის 2-3 დღე-ღამის მარაგს.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რა შაქრის ჭარხლის დროულ გამოზიდვას მინდვრიდან, როგორც მოწეული მოსავლის დანაკარგის თავიდან აცილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, ავტოტრანსპორტის მუშაობას მოვაწყობთ საათობრივი გრაფიკებით, ფართოდ გამოვიყენებთ ავტომატარებლებს. ავტომობილზე სადღეღამისო გამომუშავებას უზრუნველვყოფთ არანაკლებ 20 ათასი ტონისა. შაქრის ჭარხლის გატანას დავამთავრებთ ოქტომბერში.

ყველა შრომით კოლექტივში შემუშავებულია პროდუქციის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების სოციალისტური შეჯიბრების პირობები, განსაზღვრულია მოწინავეთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი. დიდად ვზრუნავთ იმისათვის, რომ ყველას, ვინც მონაწილეობს შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებაში, გადაზიდვასა და გადამუშავებაში დიდნაყოფიერი შრომის საჭირო პირობები შევუქმნათ.

ვწყვეტთ რა წლევანდელ ამოცანებს, არ ვივიწყებთ მომავალ მოსავალსაც. დროულად და მაღალხარისხოვნად განვახორციელებთ მზრალად ხვნას, შემოდგომიდან ერთ ჰექტარ ფართობზე შევიტანთ 50 ტონა ადგილობრივ სასუქებს და 18-20 ცენტნერ მინერალურ სასუქებს. დასახული გვაქვს მივაღწიოთ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის შემდგომ ზრდას და 1980 წლისათვის ნათესის თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ 55 ცენტნერი თეთრი შაქარი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის ზრუნვას ვუპასუხებთ დამკვრელური შრომით. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ქვეყანას მივცეთ მეტი შაქარი და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია კოლმეურნეთა და შაქრის ქარხნის მუშათა კრებებზე და მოწონებულია უკრაინის კომპარტიის იამპოლის რაიკომის პლენუმზე.

„სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „პროგრეს-3":

# ორბიტის კორექცია

ფრენის მართვის ცენტრი, 18 აგვისტო. (ტასსი). მოძრაობის ტრაექტორიის წუხანდელი კორექციის შემდეგ „სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „პროგრეს-3" პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსი განაგრძობს ფრენას ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 359;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 343 კილომეტრი.

— მოძრაობის პერიოდი — 91,4 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ორბიტის კორექცია ხორციელდებოდა „პროგრეს-3" სატვირთო ხომალდის ძრავის გამოყენებით.

დღეს ვლადიმერ კოვალიონოკისა და ალექსანდრე ივანჩენკოვის სამუშაო დღე დაიწყო დილის 8 საათზე. კოსმონავტები ამთავრებენ მუშაობას სატვირთო ხომალდში იმ მოწყობილობის განლაგებისათვის, რომელიც „სალუტ-6" სადგურიდან მოხსნეს, ოკვირდებიან დედამიწის ზედაპირს და აწარმოებენ მის ფოტოგრაფირებას მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის.

სამედიცინო გამოკვლევის შედეგების მიხედვით კოსმონავტები ჯანმრთელად არიან. მათთვის მაჯისცემის სიხშირე წუთში არის 68 და ბორტინჟინრის — 62. არტერიული წნევა შესაბამისად უდრის 125X60 და 130X60 მილიმეტრს.

სადგურისა და ორივე ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

„სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „პროგრეს-3" ორბიტული კომპლექსი ფრენას განაგრძობს.

შეჯიბრების მოწინავენი



## მწვანე ოქროს ტონები

ახლა ზუგდიდის რაიონის ონარიის საბჭოთა მეურნეობაში ფოთლის დიდ ნაწილს ხელით აღარ კრეფენ, ფოლადის თითებით იღებენ. ამ საქმეში არა მარტო მეურნეობაში, ზუგდიდში, არამედ მთელ რესპუბლიკაში სახელი გაითქვა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ჯუმბერ ჩაბალუხამ.

სანამ საკრეფი მანქანის საჭეს მიუჯდებოდა, მექანიზატორმა ჯ. ჩაბალუხამ სპეციალური კურსები გაიარა, შეისწავლა მართვის საიდუმლოება. ახლა იგი საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორია.

მექანიზატორი ყოველ წელს პლანტაციაში ახვავებს ჩაის ფოთოლს. წელს ჯ. ჩაბალუხამ პლანტაციაში ფოთლის კრეფა ყველაზე ადრე დაიწყო. ახლა იგი ყოველდღე ფოლადის თითებით კრეფს ნორჩ დუყებს. განუწყვეტლივ და სწრაფად ივსება მანქანა „საქართველოს" ბუნკერი.

როცა ამ დღეებში მეურნეობაში შეაჯამეს მექანიზატორთა ნამუშევარი, დადგინდა, რომ ყველაზე მეტი ჯ. ჩაბალუხას მოუკრეფია.

105 ტონა ჩაის ფოთოლი ერთი მანქანით — აი ჯ. ჩაბალუხას შრომის შედეგი.

ახლა მექანიზატორი კვლავ გამართულად ამუშავებს მანქანას. მას ადრე დილიდან გვიან საღამომდე პლანტაციაში ნახავთ და ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. ფაბრიკის სპეციალისტები კმაყოფილი არიან: ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მიერ მოკრეფილი ფოთოლი უხარისხო ყოფილიყო. დღემდე ჩაბარებული ფოთლის 73 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

სურათზე მექანიზატორი ჯ. ჩაბალუხა.
მ. კვირიკაშვილის ფოტო.

512 ათასი ტონა ყურძნისათვის!

# ზვრები უფრო შემოსავლიანი იქნება!

● ყურძნის შესასყიდი ფასები მომატებულია
● ასე გაიზრდება სახელმწიფოსა და ოჯახის ბიუჯეტი

როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ განვითარებასა და მევენახეთა სტიმულირების საქმეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

სამწუხაროდ, უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობები შეიქმნა წლეულს გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს. მაგალითად, ვაზის ყვავილობა 18-20 დღით დაგვიანდა, აგრეთვე ვენახების ძლიერი გადატვირთვის გამო შაქრის დაგროვება ნელა მიმდინარეობს. არის იმის საშიშროება, რომ საბაზისო შაქრიანობა ასეთ პირობებში დაიკლებს, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაზე, რომლებიც ისედაც იძულებული გახდნენ მნიშვნელოვნად გაეზარდათ ვენახების მოვლის ხარჯები.

ამასთან დაკავშირებით როგორც გამონაკლისი, მიღებულია დადგენილება, რომ 1 პროცენტით შემცირდეს კოლმეურნეობებისაგან, სახელმწიფო მეურნეობებისაგან, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებისა და მოსახლეობისაგან შესასყიდი 1978 წლის მოსავლის ყურძნის საბაზისო შაქრიანობა, გარდა იმ ჯიშების ყურძნისა, რომლებიც ნატურალური მოტკბო ღვინოების წარმოებისათვის გამოიყენება.

ზემდგომი ორგანოების განკარგულებით, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებიდან ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის სტიმულირების მიზნით დაწესდა დანამატები რესპუბლიკის მოსახლეობისაგან შესასყიდი ტექნიკური ჯიშების ყურძნის სახელმწიფო შესასყიდი ფასების 20 პროცენტის ოდენობით, გარდა საფერავის, ალექსანდროულის, პინოს, მუჯურეთულის, ოჯალეშის, ჩხავერის, უსახელაურის, ალადასტურის, ხიხვის, კაბერნეს, აგრეთვე რაჭული თეთრას და ცოლიკაურის ჯიშების ყურძნისა, რომლებსაც სახელმწიფო ყიდულობს ცაგერის, გაგრის, გუდაუთის რაიონების და სოფლების მექვენის, სარხეტურის, წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ზონის ზემო და ქვემო ონჭეისის მოსახლეობისაგან.

ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" რედაქციამ სთხოვა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილეს თ. ჯაბადარს ჩვენს მკითხველებს განუმარტოს, თუ რა სარგებლობას ნახავენ ამ ღონისძიებათა გატარებით მშრომელები საკარმიდამო ვენახებიდან ყურძნის ჩაბარებისათვის.

ეს იმას ნიშნავს, — თქვა მან, რომ თუ წინათ 1 ტონა რქაწითელის შესასყიდი ფასი კახეთის რაიონებში 450 მანეთი იყო, წლეულს 1 ტონა ამ ყურძენში 18 პროცენტი შაქრიანობის დროს მშრომელი მიიღებს 540 მანეთს. ესე იგი ტონაში დამატებით მიიღებს 90 მანეთს. 1 ტონა ცოლიკაურის შესასყიდი ფასი 19 პროცენტი შაქრიანობის დროს 410 მანეთი იყო, წლეულს კი 18 პროცენტიან ყურძენში 492 მანეთს მიიღებენ, ე. ი. ტონა ცოლიკაურში დამატებით მიიღებენ 82 მანეთს.

გარდა ამისა ყურძნის შესასყიდი ფასი უფრო იმატებს, როცა ყურძნის შაქრიანობა უფრო მაღალია. ყოველივე ეს ცხადია, მევენახეთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია. ამით მოიგებს მევენახეც და სახელმწიფოც.

18 აგვისტო

## „პრავდის" ფურცლებზე

მოწინავე სტატიაში „ზრუნვა საშემოდგომო ნათესებისათვის" ნათქვამია რომ, თანმიმდევრულად ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელები მოწოდებულნი არიან არა მარტო განამტკიცონ მიღწეული, არამედ აიღონ ახალი მიჯნებიც. ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა მომზადდეს ნიადაგი საშემოდგომო ნათესებისათვის. არსებულ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახნავ-სათესებში შევიტანოთ სასუქი. მასივებში, რომლებიც გამკუთვნილია საშემოდგომო ნათესებისათვის, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაიტანეს 100 მილიონი ტონა ნაკელი. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებული ყურადღების საგნად უნდა იქცეს ისეთი მნიშვნელოვანი კულტურის წარმოების გადიდება და დამზადება, როგორიც ჭვავია. უკვე მომავალ შემოდგომაზე მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და მივაღწიოთ იმას, რომ ჭვავმა ღირსეული ადგილი დაიკავოს საშემოდგომო ნათესების სტრუქტურაში.

გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ი. კარპეცის თეორიულ სტატიას „საბჭოთა კანონის აღმზრდელობითი როლი".

წარმოების განვითარება, მისი ეფექტიანობა ახლა დამოკიდებულია არა მარტო კოლექტივის უნარზე გამოიყენოს შინაგანი რეზერვები, არამედ იმაზეც თუ როგორ ენერგიულად ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, შრომის მოწინავე მეთოდები. ცალკეული საკითხების გადაჭრა, როგორც წესი, არ გვაძლევს სასურველ შედეგს. უფრო მიზანშეწონილია ერთმანეთს შევუსაბამოთ ყველა ძირითადი ტექნოლოგიური დამხმარე და მომსახურების პროცესები, რაც მიიღწევა სწორედ მასობრივი და დიდსერიული წარმოების დროს. ამ თემას ეძღვნება ლენინური პრემიის ლაურეატის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ს. მიტროფანოვის წერილი „დიდი მოგება".

ამ ნომრის მეოთხე გვერდზე წაიკითხავთ ირლანდიაში გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ოვჩინიკოვის სტატიას „მწვანე კუნძულის" პრობლემები, ა. ფილიპოვის ავლანურ დღიურს „განახლების ქარი" და სხვა.

მეხუთე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს საერთაშორისო ცხოვრების ამსახველ მასალებს. და ბოლოს, მეექვსე გვერდზე გაზეთი ჩვეულებრივ აქვეყნებს მკითხველთა პატარა წერილებს, ფოტოებს და სპორტულ ინფორმაციებს.

ПРАВДА

# დროშა ტემპისა და ხარისხისათვის

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" კოლექტივმა ვადაზე ორი თვით ადრე უპატაკა სამშობლოს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. 10 აგვისტოდან იგი ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში მუშაობს. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის, მოგების, რენტაბელობის, ფონდუკუგების დავალებანი. მნიშვნელოვნად გაიზარდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ბარიტის კონცენტრატების, ბენტონიტის ფხვნილების, ანდეზიტის ფხვნილის, გააქტიურებული ბენტონიტის, ანდეზიტის მჟავაგამძლე ნაწარმისა და სხვა პროდუქციის წარმოება. მთელი პროდუქცია ხარისხის პირველი და უმაღლესი კატეგორიებით გამოდის. შარშანდელთან შედარებით სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონა 5,1 პროცენტით გაიზარდა და ახლა 17,1 პროცენტს შეადგენს წარმოების საერთო მოცულობაში.

გაერთიანების კოლექტივის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა, განსაკუთრებით ხუთწლედის დამკვრელური წლის მეორე კვარტალში, კვლავ გამარჯვება მოუტანა მას დარგის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზედიზედ მეოთხედ მიენიჭა ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დროშის გადაცემას მიეძღვნა საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" აქტივის საზეიმო კრება, რომელიც 17 აგვისტოს გაიმართა თბილისში.

კრება გახსნა გაერთიანების პროფკავშირის ჯგუფური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გიორგობიანმა.

ქიმიური მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ნოვიკოვმა გულთბილად მიულოცა კოლექტივს დამსახურებული ჯილდო და დროშა გადასცა გაერთიანების წარმომადგენლებს. „საქსამთოქიმმრეწვის" მუშა-მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სახელით გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ნ. ცხაკაიამ მხურვალე მადლობა გადაიხადა კოლექტივის შრომის მაღალი შეფასებისათვის და თქვა, რომ გაერთიანების მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ამრავლონ მიღწეული წარმატებანი.

კრებაზე გამოვიდნენ მახარაძის მაღაროთსამმართველოს დირექტორი თ. ქიქიფთარი, „საქგუმბრინის" მაღაროთსამმართველოს თიხაფხვნილის ქარხნის ცვლის უფროსი მ. სკალოზუბი, ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოს მბურღავი ვ. ბლიაძე, თბილისის სამთოქიმიური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე ნ. სიხარულიძე და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდი შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში გაერთიანების საწარმოებში, და აღნიშნეს, რომ მათ კოლექტივებს გადაწყვეტილი აქვთ მიაღწიონ ახალ მიჯნას: სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავისათვის ვალდებულებათა გადაჭარბებით გამოუშვან და გაასაღონ სამი მილიონი მანეთის პროდუქცია.

აქტივის კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი, საკავშირო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" უფროსი ა. კოჟევნიკოვი. (საქინფორმი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 86 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გმირი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი არმიის გენერალი

### ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი

## ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოსა და პოლიტიკური სამმართველოსაგან

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო და პოლიტიკური სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 86 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გმირი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი არმიის გენერალი

### ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!



# პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის ავანგარდში



მიმდინარე წლის 22 აგვისტოს მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ეწყობა „ქუთაისის დღე"

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის მრქეფარე შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ქუთაისში. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ხათავეში უდგას მშრომელთა აქტიურობას და მუშაობის სტილისა და ფორმების სისტემატური სრულყოფის გზით უზრუნველყოფს სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღენიადაგ უმჯობესდება ქუთაისური მარკის პროდუქცია. ქალაქის სამრეწველო საწარმოებში გაბედულად ნერგავენ ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას, რაც ხელს უწყობს შრომით კოლექტივებს განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნების, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ავეჯის ფაბრიკისა და პურ-კომბინატის კოლექტივებმა. ამჟამად სამრეწველო საწარმოებში ხარისხის სახელმწიფო ნიშნით მზადდება 126 დასახელების ნაწარმი, რომლის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში 20,8 პროცენტს შეადგენს.

მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის ბრძოლა თანდათან მხრებს შლის. ამ საკითხზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მოპოვებული წარმატების შედეგია, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე პავილიონში — „ხარისხის მართვა-78" მიმდინარე წლის 22 აგვისტოს ეწყობა „ქუთაისის დღე". ქუთაისის ეს დღე მოსკოვში ხელს შეუწყობს ქალაქის მრეწველობის მუშაკთა ახალ მიღწევებს მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ქვემოთ გაგაცნობთ ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების მუშაობის გამოცდილებას.

## ინერგება მოწინავეთა გამოცდილება

ქუთაისის დღე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მართლაც რომ დიდი მოვლენაა ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. ის დღე იმის საყოველთაო აღიარებაც არის, ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა რომ მოიპოვეს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილება-...

...ლექტ პარტიული ორგანიზაციის. პირველადი პარტიული ორგანიზაციების დაძაბული, ყოველმხრივი და დაუცხრომელი მუშაობის ნაყოფია. იგი შედეგია სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების თითოეული მშრომელის, ინჟინერ-ტექნიკური თუ სამეურნეო მუშაკების თავდადებული საქმიანობისა, რომლის მიზანია პარტიის წინასწარმოსახულობათა შესრულება. ყოველივე ეს, რასაკვირველია, სიამაყის გრძნობით

...ობის შესახებ. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ეთმობა მოწინავე საწარმოთა მუშაობის შესწავლასა და გავრცელებას.

1975 წლიდან პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემუშავებისა და დანერგვის დაწყებიდან სამრეწველო საწარმოებში მოეწყო ...

...რებზე. სწორედ ამის საფუძველზე შემუშავდა და ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის XXXI კონფერენციაზე დამტკიცდა „ხარისხის ხუთწლედის" პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმით მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია პროდუქციის 300 სახეობა შეიცვალოს უკეთ სრულყოფილი ნაწარმით, ათვისებულ იქნეს 20-ზე მეტი ახალი ნაკეთობა, ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭოს 155 საუკეთესო ნიმუშს და გაიზარდოს ასეთი ნიშნიანი ნაკეთობის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში 36 პროცენტამდე.

ხარისხის ხუთწლედის ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დატიმობილი შემსრულებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ შორის საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების სწავლებას. სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და პროდუქციის ხარისხის საკითხებზე წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლება უკვე გაიარა და კვალიფიკაცია აიმაღლა საწარმოს 50 ხელმძღვანელმა, 80 სპეციალისტმა, 300-ზე მეტმა ტექნიკურმა მუშაკმა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა.

სერიოზული ყურადღება ეთმობა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებს, დარგობრივი პრინციპის გათვალისწინებით გადაისინ-...

## დაძლეული მიჯნები, ახალი ამოცანები

ბ. აბზიანიძე,
პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

გვავსებს, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ გვავიწყდება ის ფაქტი, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ნამდვილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლას.

ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ იმ საქმიანობას, რომელიც ქალაქის პარტიულ-...

...ლექსური გადაწყვეტისათვის ერთიანი პოლიტიკის გატარების ღონისძიებებს. შტაბის სხდომებზე, რომლებიც ორ თვეში ერთხელ ეწყობა, განიხილავენ და ამტკიცებენ ცალკეული ორგანიზაციების სამუშაო გეგმებს, ისმენენ საწარმოთა ხელმძღვანელების ინფორმაციებსა და მოხსენებებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაწეული მუშა-...

...მხრივ ქუთაისში ყველაფერი რიგზე იყოს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია, რომლებსაც გამოსწორება სჭირდება. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ მხრივ დასახულია დადებითი ტენდენციები და მათი გაფართოება-განმტკიცებისათვის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ძალასა და ენერგიას არ იშურებს.

მართვის სისტემა „კოლხეთი"

## ჩვენი ავტომობილი

თ. გენძეხაძე,
შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

რა არის პროდუქციის ხარისხი? — ბოლო დრომდე ამ კითხვაზე პასუხის განმარტებაში ერთნაირი აზრი როდი იყო. და აი, ახლა გვაქვს ლაკონიურად ჩამოყალიბებული ცნება, რომ ხარისხი — ეს არის პროდუქციის თვისებათა ჯამი, რომელიც უზრუნველყოფს მის ვარგისიანობას დაკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები დანიშნულების მიხედვით.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება პირდაპირ დამოკიდებულია შრომის ხარისხზე — წარმოების ორგანიზაციის სიზუსტე, შრომის პროცესების რიტმულობა, ტექნოლოგიური დისციპლინა, ...

...საქარხნო, მომწოდებელი ქარხნებიდან მიღებულ მასალებზე, ნახევარფაბრიკატებსა და მაკომპლექტებელ ნაწარმზე, აგრეთვე ეგრეთ წოდებული საგარეო ინფორმაცია ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქციის ავ-კარგზე. დაგროვილი ინფორმაციის შედეგად მიღებული მასალების მიხედვით ვაწყობთ „ხარისხის დღეს".

ჩვენ ვამაყობთ, რომ ქარხანაში წარმოებული ავტომობილი „კაზ — 608 ვ" ხარისხის სახელმწიფო ნიშანს ატარებს, ახლა უკვე ხარისხისნიშნიანი პროდუქცია საერთო პროდუქციის 70 პროცენტს შეადგენს.

მოდლის ხარისხისნიშნიანი ავტოსაწევარი „კაზ-608 ვ".



პროცესების სრულყოფის გზით

## ახალ ვითარებაში

ა. გამყრელიძე,
მუშა-ფეიქარი, სოციალისტური შრომის გმირი.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის. რაც ჩვენი საქმიანობის საფუძველია პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვა 1974 წლის ოქტომბერში დაიწყო. შეიქმნა ხარისხის მართვის განყოფილება. ამ დროიდან ჩამოყალიბდა და მოქმედებს ოთხი ძირითადი სექტორი — სტანდარტიზაციის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯვისადმი კონტროლის, მზა ნაწარმისა და ...

...ტებით მოქმედებს. პირველი ასეთი ბრიგადა ნატურალური ქსოვილის ქსოვილების საუკეთესო ხარისხის მისაღებად ჩამოყალიბდა, შემდეგ ამან მოიცვა მთელი ციკლი — პარკის დახარისხებიდან მზა აბრეშუმის ქსოვილის მიღებამდე. გამოშვებული ქსოვილების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება ციფრობრივად ასე გამოიხატა: ეგრეთ წოდებული გამჭოლი ბრიგადების შექმნის შემდეგ ხარისხი 51-55 პროცენტიდან 81-84 პროცენტამდე გაიზარდა.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხაასორტიმენტო კაბინეტის მუშაკები ვ. პოტკოვცკინა და რ. კიკვიძე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.



ყურადღება: კვების პროდუქტია!

## პურის სურნელი

ო. მალლაფერიძე,
პურკომბინატის დირექტორი.

პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჩვენი საწარმო საბაზო ორგანიზაციად გამოცხადდა.

საკოორდინაციო ჯგუფმა, რომელიც ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ჩვენთან, გააანალიზა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობით მათი უზრუნველყოფა, მოქმედი მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმები, ცალკეული სამსახურების სტრუქტურა. ...

...მოწინავე საწარმოდ ითვლება არა მარტო რესპუბლიკის, არამედ სსრ კავშირის კვების მრეწველობის საწარმოთა შორისაც.

1971 წლიდან ჩვენი კომბინატი უცვლელად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელს. ამავე წლიდან დღემდე 25-ჯერ გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვში „ქუთაისის დღის" ჩატარებაში მონაწილეობს ჩვენი კომბინატის 17 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც წარმოების მოწინავეებისაგან არის დაკომპლექტებული.

№ 3 პურის ქარხანაში.



ბ. მალლაფერიძის ფოტო.

## პირველი შედეგები

მიღწეული ზღვარი როდია

ზ. ქაჯაია,
რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მთავარი ინჟინერი.

რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს პროდუქციის ხარისხის სისტემატური ამაღლების უზრუნველსაყოფად.

1972 წლიდან ქარხანაში მოქმედებს პროდუქციის უდეფექტოდ დამზადებისა და პირველი წარდგენით ჩაბარების სისტემა. დღეისათვის ამ სისტემით მუშაობს 85 მუშა, მათ შორის 31-ს პირადი დამღა აქვს, 54 კი პირველი წარდგენით აბარებს პროდუქციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქარხანაში ხარისხის მართვის კომპლექსუ-...

...ზინის ტექნიკურ ნაკეთობას მიენიჭა ხარისხის ნიშანი. ამჟამად ხარისხისნიშნიანი რეზინის ტექნიკური ნაკეთობის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში 18,8 პროცენტს შეადგენს, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მონათესავე საწარმოთა შორის.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქციის გამოშვებისათვის 1977 წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სახელმწიფო სტანდარტებისა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომი დაიმსახურა, ხოლო მიმდინარე წელს I და II კვარტალში ქარხანამ საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა, პირველი ადგილი დაიკავა დარგში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვებისათვის, ხოლო მეორე ადგილი — ...

რეზერვების გამოყენების სიკეთე

## რომ მართო, უნდა იცოდე

მ. კალანდაძე,
ავეჯის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ამჟამად ქუთაისის ავეჯის ფაბრიკაში ყოველწლიურად 20-24 პროცენტით ვაახლებთ პროდუქციის ასორტიმენტს. ავეჯის ახალი ნიმუშების შექმნისას პირველ რიგში ვითვალისწინებთ ეროვნულ ტრადიციებს, ...

...1976 წლიდან ფაბრიკაში ვამუშავებთ და ვნერგავთ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას, რომელშიც ასახვას პოულობს ტექნიკური ხასიათის, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი, სამართლებრივი და სოციალური საკითხები. აღნიშნული სისტემის დანერგვას ვითვალისწინებთ 3 ეტაპად.

ამჟამად ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წილი საერთო პროდუქციაში 17,6 პროცენტს შეადგენს.



## ერთ ლამაზ შენობაში

რეპორტაჟი ხარისხის სახლიდან

ძველად ქუთაისის ამ უბანში, რომელსაც მაშინ „ზასტავას" უწოდებდნენ, სულ ჩხუბი და აყალ-მაყალი იყო. ამბობენ, ერთმანეთს ეჭიბრებოდნენო მუშტიკრივში, ქეიფსა და დროსტარებაში. არლანი კი... გალიფეში გამოწკიპული წულა-მესტებიანი ...

...ზის მოედანზე, სადაც მიჯრით დგას მრავალსართულიანი სახლები, სადაც დილიდან საღამომდე შრომითი ენთუზიაზმი ყოველ სახლს ელექტროდენივით გადაეცემა ხოლმე, აღმართულია ხარისხის ლამაზი სახლი.

ესეც ჭეშმარიტად სიმბოლურია — რესტორნის ნანგრევებზე ხარისხის სახლი! სიმბოლურია იმიტომაც, რომ თვისებრივი ცვლილებები ხდება ჩვენს ცხოვრებაში, დიდი, ძალიან დიდი ...

დ. გელენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ი. ვ. ტიულენევი



[illegible]

...ნობას.

მეფის არმიაში გაწვეულ ი. ვ. ტიულენევს 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ფრონტზე მოუსწრო, არჩეული იყო პოლკის კომიტეტის წევრად და დელეგატად გაიგზავნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. იგი აქტიურად მონაწილეობდა წითელი გვარდიის რაზმების შექმნაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში.

წითელი არმიის შექმნის პირველი დღიდანვე მის საბრძოლო რიგებში იყო, მონაწილეობდა სიმბირსკის, სამარისა და ყაზანის განთავისუფლებაში, კრონშტადტის ამბოხების ჩახშობაში, სახელოვანი გზა გაიარა ლეგენდარულ პირველ ცხენოსანთა არმიაში. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლებში სამჯერ დაიჭრა.

1922 წლიდან, სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ი. ვ. ტიულენევს თანამიმდევრულად ეკავა პასუხსაგები სამეთაურო თანამდებობანი — იყო ცხენოსანთა ბრიგადისა და დივიზიის მეთაური, საკავალერიო სასწავლებლის უფროსი, წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორის მოადგილე, შემდეგ კი ამიერკავკასიისა და მოსკოვის სამხედრო ოლქების ჯარების სარდალი.

დიდი სამამულო ომის რთულ, დაწყებითს პერიოდში არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი სარდლობდა სამხრეთის ფრონტს, ...ნევი დიდ შრომისმოყვარეობას იჩენდა და თავის ცოდნას, მდიდარ საბრძოლო და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცების საქმეს ახმარდა.

ი. ვ. ტიულენევი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არჩეული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

არმიის გენერლის ი. ვ. ტიულენევის დამსახურება სამშობლოს წინაშე დიდად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. მას მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ხუთი წითელი დროშის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, კუტუზოვის I ხარისხის, „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ III ხარისხის ორდენებით, სსრ კავშირის ბევრი მედლით, აგრეთვე მთელი რიგ სხვა სახელმწიფოთა ორდენებითა და მედლებით.

ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, გ. ა. ალიევი, ნ. ვ. ოგარკოვი, ვ. გ. კულიკოვი, ა. ა. ეპიშევი, ს. ლ. სოკოლოვი, ე. ა. შევარდნაძე, კ. ხ. დემირჩიანი, ვ. თ. ტოლუბკო, ი. გ. პავლოვსკი, ა. ი. კოლდუნოვი, პ. ს. კუტახოვი, ს. გ. გორშკოვი, კ. ს. მოსკალენკო, ს. კ. კურკოტკინი, ნ. ი. სავინკინი, ნ. ნ. ალექსეევი, ა. ტ. ალტუნინი, ა. ვ. გელოვანი, ვ. მ. შაბანოვი, ი. ნ. შკადოვი, გ. ვ. სრედინი, ი. ქ. ბაგრამიანი, პ. თ. ბატიცკი, ვ. ი. ჩუიკოვი, ს. პ. ვასიაგინი, ვ. ი. პეტროვი, ვ. ზ. იაკუშინი, ვ. ლ. გოვოროვი, გ. ი. სალმანოვი, ო. თ. კულიშევი, გ. ე. პერედელსკი, პ. ნ. კულეშოვი, პ. გ. ლევჩენკო, ს. ხ. აგანოვი, ვ. კ. პიკალოვი, პ. ა. როტმისტროვი, ს. ი. რუდენკო, ვ. ა. სუდეცი, პ. ი. ბატოვი, ს. პ. ივანოვი, პ. ა. კუროჩკინი, ა. ა. ლუჩინსკი, პ. ი. ეფიმოვი.

# გამოთხოვება

18 აგვისტოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები, დედაქალაქის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევს.

სამგლოვიაროდაა მორთული საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლის წითელდროშოვანი დარბაზი, სადაც დასვენებულია ი. ვ. ტიულენევის ცხედარი. თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრებს ეთხოვებიან დედაქალაქის გარნიზონის მეომრები, ომის ვეტერანები, სამხედრო აკადემიების მსმენელები, მოსკოვის მშრომელები.

საპატიო ყარაულში დგანან შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი, ნ. ვ. ოგარკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, სხვა მხედართმთავრები.

სასაფლაოზე, სადაც ი. ვ. ტიულენევი დაკრძალეს, სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. (საქინფორმი).

# მსოფლიოს ამბები

18 აგვისტო

## მოუწოდებენ სოლიდარობისათვის

[illegible] ...ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წერილში. მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტებისადმი. კვლავ გაერთიანდება ... უჭერს მხარს ვიეტნამის ბრძოლას საკუთარი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, წერს დასასრულ მშვიდობის მსოფლიო საბჭო.

## შეთქმულნი ამხილეს

### ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმართვა

ქაბული, 18 აგვისტო. (საქინფორმი). აქ გაიმართა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგანგებო სხდომა.

ავღანელი ხალხისადმი მიღებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ 1978 წლის აპრილის რევოლუცია ავღანელ მშრომელთა ინტერესებისათვის მოხდა. ქვეყანაში დღითი დღე ფართოვდება რევოლუციური გარდაქმნები. ამასთანავე, აღნიშნულია მიმართვაში, რევოლუციის შინაური და გარეშე მტრები კვლავ ყოველნაირად ცდილობენ მოაწყონ შეთქმულებანი. ისინი განაგრძობენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებას, რათა ძირი გამოუთხარონ რევოლუციის მონაპოვრებს. ამ ანტიხალხურმა ძალებმა დაიწყეს კონტრრევოლუციური მოქმედება, რომელიც მხილებულია. ამას წინათ აღმოაჩინეს და მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარეს მათი ანტიეროვნული საქმიანობა. კონტრრევოლუციურ ელემენტთა ჯგუფში შედიოდნენ: ეროვნული თავდაცვის მინისტრი აბდულ კადირი, გენერალური შტაბის უფროსი შაჰპური და ქაბულის ჰოსპიტალის უფროსი ალი აკბარი. რევოლუციური კანონების დებულებათა შესაბამისად შეთქმულნი დაპატიმრებული არიან.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს ნ. მ. ტარაკის დაავალოს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შესრულება.

## იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების გამო

ტოკიო, 18 აგვისტო. (საქინფორმი). იმასთან დაკავშირებით, რომ ამას წინათ პეკინში დაიდო ეგრეთ წოდებული „იაპონიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულება“, იაპონიის საზოგადოებრიობა, პრესა და ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან, სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ხელშეკრულების დადებას საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისათვის, უწინარეს ყოვლისა აზიაში.

ეს შიში უპირველეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ საერთოდ პეკინის საგარეო პოლიტიკის აგრესიული ხასიათი, აგრეთვე ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებანი ხელშეკრულების გამო, კერძოდ, მათ მიერ მეორე მუხლის ისე განმარტება, რომ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული, იმის რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ ახალი ხელშეკრულება შეიძლება გამოიყენონ აზიაში საერთაშორისო ვითარების გასამწვავებლად, იაპონიის მეზობელ სახელმწიფოთა უშიშროების საზიანოდ და იქნებ საეჭვოც კი გახადოს იაპონიის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები.

ბოლო დღეებში იაპონიის ხელმძღვანელებმა ბევრი განცხადება გააკეთეს იაპონიის პოზიციის განსამარტავად, ამტკიცებდნენ, რომ იაპონია აპირებს განაგრძოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარების თავისი გეზი. კერძოდ, როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იტყობინება, პეკინიდან დაბრუნებისთანავე საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სონოდამ განაცხადა, დადებულ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირისადმი მტრული ხასიათი არა აქვსო. მან ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია განხორციელდეს იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ს. სონოდამ, წერს „სანკეი სიმბუნი“, განაცხადა, „იაპონია დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ადგას“ და „ჩინეთთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ იმოქმედებსო“.

კიოდო ცუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტ. ფუკუდამ ამას წინათ სსრ კავშირში დანიშნულ ელჩს ტ. უომოტს მიუთითა იზრუნოს იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის, და თქვა, „იაპონია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებსო“.

ისღა დაგვრჩენია, ვნახოთ, როგორ შეისხამს ხორცს ეს განცხადებანი კონკრეტული საქმეებით იაპონიის მთავრობის პოლიტიკაში.

# ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“

# გამხრწნელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებს საპორნოგრაფიოდ ყიდიან მშობლები. ეს წარმოუდგენლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ასეა. ლოს-ანჯელესში პოლიციის მარტო ერთმა რეიდმა „პორნოსტუდიაში“ (ჩვეულებრივ ეს არის ოთახი იაფფასიან სასტუმროში, ანდა პროდიუსერის საკუთარი სახლი) აღმოაჩინა ორი გოგონა (13 და 10 წლისა) და 15 წლის ბიჭი, რომლებიც იქ მშობლებმა მიიყვანეს. ყოველი გადაღებისათვის ისინი (მშობლები) 100-150 დოლარს იღებდნენ.

ლაპარაკია არა მარტო საშიოდე პათოლოგიურ შემთხვევაზე, არამედ ახალი ინდუსტრიისათვის ნედლეულის მუდმივ წყაროზე.

ეს ეწინააღმდეგება მშობელთა ინსტინქტს, თუნდაც იგი მხოლოდ ცხოველის დონეზე იყოს. მაგრამ ამერიკულ საზოგადოებაში არის დედობაზე უფრო მძლავრი ინსტინქტი — ფული.

იქნებ, ასე იქცევიან ის მშობლები, რომლებსაც ვთქვათ, შიმშილით სიკვდილი მოელით? სრულიადაც არა.

—მშობლები, რომლებიც საპორნოგრაფიოდ ყიდიან შვილებს, — მიამბო სტივ ჰატჩინსონმა, „ოდისეი-ინსტიტუტის“ იურისტმა, — ჩვეულებრივ სავსებით უზრუნველყოფილი ადამიანები არიან. მათ შიმშილით სიკვდილის შიში კი არ ამოძრავებთ, არამედ იმის სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. რა მნიშვნელობა აქვს, რით იშოვიან ამ ფულს.

ამერიკის ტელევიზიით მოვისმინე ცნობილი ამერიკელი ტელეპროდიუსერის დევიდ სასკაინდის საუბარი ოთხ პროფესიონალ მეძავთან. ეს ქალები ნიუ-იორკის 42-ე ქუჩის უბედური და იაფფასიანი არსებანი კი არ იყვნენ, არამედ ფრიად შეძლებული ახალგაზრდები (ოთხივე გათხოვილია, ორს შვილები ჰყავს). ისინი მშვიდად და საფუძვლიანად გვაცნობდნენ თავიანთ ხელობას და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ არ მიაჩნიათ იგი საძრახისად. ამავე აზრისა არიან მათი ქმრები, რომლებსაც ცოლები არ უმალავენ თავიანთ ხელობას, მუშაობენ მათი თანხმობით და ხელშეწყობით. დამატებითი ფული შედის ოჯახის ბიუჯეტში.

ერთ-ერთმა თქვა, ამ ხელობას იმიტომ მივდევ, რომ ქმართან ერთად გადავწყვიტეთ ფული შევაგროვოთ საკუთარი სახლის შესაძენად. მეორემ თქვა, ფული იმისთვის მჭირდება, რომ ქმარმა შეძლოს უმაღლესი განათლების მიღება ძვირადღირებულ კოლეჯში (წელიწადში 8 ათასი დოლარი). მესამემ განაცხადა, ფულს იმისთვის ვხარჯავ, რომ „მეზობლები გულზე გავხეთქო“ — ყოველ წელიწადს ახალ მანქანას ვყიდულობთ. მეოთხემ კი მოკლედ მოსჭრა: თუმცა ჩემს ქმარს კარგი ხელფასი აქვს, მაგრამ „ფული ფულს მიიმატებსო“.

არ ვაპირებ მორალი ვუკითხო ამერიკულ საზოგადოებას. ყოველი საზოგადოება გამოიმუშავებს ხოლმე ზნეობრივ საფუძვლებს, რომლებიც მის არსს შეესაბამება. მე ამ ტელეგადაცემაზე (სხვათა შორის, მან ამერიკაში არავითარი სენსაცია არ გამოიწვია) იმიტომ კი არ გიამბეთ, რომ მაჩვენებინა ჩიტისტვინიანი ოთხი მანდილოსნის მორალური სახე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დამედასტურებინა თეზისი: ლაპარაკია არა კანონების ცალკეულ დამრღვევებზე, არა ცალკეულ გაპირუტყვებულ მილიონერებსა და მღვდლებზე, არამედ შეხედულებათა სისტემაზე, რომელიც ამერიკის საზოგადოების მეტ ნაწილში ბატონობს და ბევრად არ განსხვავდება იმ მშობელთა შეხედულებებისაგან, რომლებიც ხოცავენ თავიანთ შვილებს იმის გულისთვის, რომ „ფულს ფული მიიმატოს“.

მაგრამ მე უფროსებზე კი არა, ბავშვებზე მოგახსენებთ, პორნოგრაფიის დამღუპველ ინდუსტრიაში ჩათრეულ ნახევარ მილიონ ამერიკელ ბავშვზე, პროსტიტუციაში გადავარდნილ მილიონზე, სულიერი და ფიზიკური დაღუპვისათვის განწირულ მილიონ-ნახევარ ბავშვზე, და ყოველდღე მათ ახლები ემატებიან. არ შეიძლება მათმა ბედმა არ აღელვოს ადამიანი, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი. უფლება არა გვაქვს მოვითხოვოთ, რომ კაპიტოლიუმის ბორცვზე მიიღონ კანონი, რომლითაც ამერიკამ ფულზე მეტად უნდა შეიყვაროს თავისი ბავშვები. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ შეწყდეს დანაშაული, რომელსაც დღეს ამერიკაში სჩადიან და რომელიც გაზის ღუმელებში ბავშვების გამოხუთვისა თუ დახვრეტისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ აქ იგი უფრო ნელა მიმდინარეობს და... გამდიდრების გულისთვის.

## ვიხსნათ ბავშვები? სახსრები არა გვაქვს...

მანქანა 32-ე ქუჩაზე მდებარე დიდ ძველ შენობას მიადგა.

— სუპერმარკეტი, — თქვა მაკგინესმა. — სავაჭრო ცენტრი.

აქეთ-იქით მიმოვიხედე, მაღაზია ვერსად ვერ დავინახე. მაგრამ შენობაზე გამოკრული იყო აბრა — სასტუმრო. შესასვლელთან თხუთმეტიოდე სხვადასხვა ასაკის მამაკაცი შეგროვილიყო. რომლებიც საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს მანერებითა და რაღაც ერთფეროვანი პეწიანი ტანსაცმლით, რომლის აუცილებელი ატრიბუტი იყო ფართოფარფლიანი ღია ფერის ჩალის ქუდი.

— პიმპები (პიმპი — ინგლისურად სუტენიორი), — ამიხსნა მაკგინესმა. — მათ აქ ბირჟა აქვთ. ვაჭრობენ და საქონელს ცვლიან.

— ბავშვებსაც?

მაკგინესმა ნაღვლიანად დამიქნია თავი, ორმა პიმპმა იცნო იგი და უგულოდ მიესალმა.

— კი მაგრამ, რატომ არ აპატიმრებენ? განა ნიუ-იორკში არ არის კანონი, რომელიც კრძალავდეს ბავშვთა პროსტიტუციას?

— არის, — ირონიულად ჩაიცინა მაკგინესმა, — ბავშვთა პროსტიტუციაზეც არის და მოზრდილთა პროსტიტუციაზეც. ჩვენს ქვეყანაში საერთოდ ბევრი კარგი კანონია. — წელს მაისში გაასამართლეს ერთი არამზადა, რომელიც პორნოგრაფიული ფილმების გადაღებაში იყო ჩაბმული. იგი მცირეწლოვანებს იღებდა. ნამდვილ მცირეწლოვანებს. აქ უკვე შეუძლებელია ამტკიცო, რომ ისინი 20 წლისანი არიან. მერე იცით, რა მიიღო თავისი მხეცობისათვის? ორი თვის პატიმრობა! ეს ხომ შვებულებაა ამისთანა კაცისთვის.

— მაგრამ, ამბობენ, ამიერიდან კანონი უფრო მკაცრად დასჯისო.

— ძველი კანონითაც შეეძლო მეტი მიეღო. მაგრამ არ მიიღო. არც ახალი კანონით მიიღებს.

— რით ხსნით ასეთ განაჩენს?

—მე შემიძლია ავხსნა. მაგრამ პოლიციელი ვარ. იმ საქმეში კი სრულიად კონკრეტული მოსამართლე და კონკრეტული ადვოკატი მონაწილეობენ. ამიტომ ჯობს თავი შევიკავო კომენტარებისაგან.

თქვენ შეგიძლიათ თქვენი დასკვნები გამოიტანოთ...

— ამ ბიზნესს ბობოლა მფარველები ჰყავს?

— ყველა შემოსავლიან ბიზნესს ჰყავს ბობოლა მფარველები... კანონები კი არა, ცხოვრების სტილი უნდა შევცვალოთ, თვითონ უნდა შევიცვალოთ... ჩვენს ირგვლივ მხოლოდ სიცრუე და სიმართლენარევი სიცრუე სუფევს...

უორენ მაკგინესი პოლიციელი დეტექტივია. იგი 22 წელია ნიუ-იორკის პოლიციაში მუშაობს, აქედან 18 წლის მანძილზე უსახლკარო ბავშვების საკითხით არის დასაქმებული. კარგი, კეთილი და ღონიერი კაცია — ბავშვები მაშინვე მიენდობიან ხოლმე. ჩემი თვალით მინახავს. მან იცის თავისი საქმე და მთელი გულით განიცდის ტრაგედიას, რომელიც ახლა დაატყდათ თავს ბავშვებს. იგი და მისი მეწყვილე არტ დოილი დათანხმდნენ და ჩემი ნაცნობი ნიუ-იორკელი ჟურნალისტის თხოვნით პოლიციის მანქანით თან წამიყვანეს ჩვეულებრივი ღამის მორიგეობის დროს. მათთან ერთად გავატარე ღამე, რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. მაგრამ ახლა სხვა რამეზე მინდა გესაუბროთ.

— პოლიციის განყოფილებაში, რომელიც გაქცეული ბავშვების საქმეს განაგებს, — მიამბო მაკგინესმა, — ექვსი კაცი მუშაობს, ჩვეულებრივ — სამ ცვლად. ახლა ორი შვებულებაშია. ასე რომ, ორი ცვლა გამოდის. დავდივართ აი ამ მანქანით ორნი ქალაქში და საშიშ უბნებში ვეძებთ ახალი ბავშვების სახეებს. ვცდილობთ გავესაუბროთ, როგორმე დავეხმაროთ, იქნებ შინაც დავაბრუნოთ...

ნიუ-იორკში ყოველდღიურად ასობით და ათასობით გამოქცეული ბავშვი ჩამოდის ქვეყნის ყველა კუთხიდან. რას ეყოფა ორი კაცი ერთი მანქანით ამდენ ბავშვს?

— ძალზე ცოტაა, — შეთანხმდა მაკგინესი. — თუმცა არიან კიდევ მუშაკები ავტობუსის ვაგზალში, რომლებიც ჩვენსავით გაქცეულ ბავშვებს ეძებენ. მაგრამ მაინც ძალზე ცოტაა. ჰოდა, ბევრი ბავშვი იღუპება. ნიუ-იორკში ჩამოსულთა 10-15 პროცენტი ბავშვთა პორნოგრაფიისა და პიმპების მსხვერპლი ხდება.

— რატომ არ მიმართავენ სასწრაფო ღონისძიებებს? რატომ მთელ ძალებს არ მოახმარენ გამხრწნელებისაგან, დაღუპვისაგან ბავშვების დაცვას?

— ხელისუფალნი ამბობენ, ფული არა გვაქვსო, — მეუბნება მაკგინესი და მხრებს იჩეჩავს.

— ქალაქში ბევრი თავშესაფარია გამოქცეულთათვის? — ვეკითხები მე.

— სრულიად არ გვყოფნის.

— რატომ?

— სახსრები არა გვაქვსო, ამბობენ, — მაკგინესმა კვლავ აიჩეჩა მხრები და პაუზის შემდეგ დასძინა: — მაგრამ საქმე სახსრები არ არის. ჩვენი ბრალი უფროა...

... „ოდისეი-ინსტიტუტი“ მოთავსებულია ნიუ-იორკის მე-12 ქუჩის პატარა მინგრეულ სახლში. ვესაუბრები ამ ორგანიზაციის იურისტს სტივ ჰატჩინსონს.

— ერთი მიბრძანეთ, რა სახსრებით არსებობს თქვენი ინსტიტუტი?

— არავითარი სახსრებით, — ეცინება მას. — ჩვენსავე ხარჯზეა. ნებაყოფლობით ვმუშაობთ, უხელფასოდ, თუმცა ჩვენ შორის შეძლებული ხალხი არ არის. მაგრამ პრობლემა იმდენად დიდი და ყველასათვის საშიშია, რომ ვიღაცამ ხომ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს. ჩვენი ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ამგვარი ორგანიზაციაა, სახსრები კი არა გვაქვს.

... სახსრები არა აქვთ. ამის თქმა პირდაპირ თავის აგდებაა კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე მდიდარ ქვეყანაში.

მინდოდა მაკგინესისა და ჰატჩინსონისათვის მეამბნა, რომ თავისი არსებობის პირველ, ყველაზე მძიმე წლებში გაღატაკებულ, ომით გაპარტახებულ საბჭოთა რესპუბლიკას თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნდა დაეცვა ბავშვები უსახლკარობისა და უპატრონობისაგან. სახსრები გამონახა, ეს საქმე საუკეთესო, ნიჭიერ ადამიანებს დაავალა, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა პრობლემა. კაპიტალისტური სამყაროს უმდიდრეს ქვეყანაში კი მთავრობას, რომელმაც „ადამიანის უფლებათა დამცველად“ გამოაცხადა თავი, ვერ აღუკვეთავს თავისი ბავშვების მასობრივი მოსპობა, „ვერ გამოუნახავს“ ამისთვის სახსრები. მაგრამ ამაზე ლაპარაკი იგივე იქნებოდა, რომ ჭრილობაში მეფათურებინა ხელი ორი კარგი ადამიანისათვის, რომლებიც ისეც იტანჯებიან და ყველაფერს აკეთებენ, რაც კი შეუძლიათ.

ჰო, მაგრამ, ხომ არის ამერიკაში საზოგადოებრივი აზრი. პრესა. აი ვის შეუძლია შველა!

## პრესა დუმს, სენატი თვალთმაქცობს

მოვიარე ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკას, გადავქექე პერიოდული პრესის მშვენიერი თემატური მაჩვენებლები, რათა შემეტყო, თუ რას წერდნენ უკანასკნელი წელიწად-ნახევრის მანძილზე ამერიკული გაზეთები და ჟურნალები ბავშვების გახრწნის ეროვნულ პრობლემაზე. და შევიტყვე: პრაქტიკულად არაფერს! ვფურცლავდი ჟურნალ-გაზეთების დასტებს. მე ვნახე ათობით და ასობით ფურცელი, რომლებზედაც დაბეჭდილი იყო ფოტოსურათები და უზარმაზარი სათაურები, რომლებიც მოუწოდებდნენ დაეცვათ ცენტრალური სადაზვერვო აგენტის ანატოლი შჩარანსკის „უფლებები“. მე ვეძებდი თუნდაც უფრო პატარა სათაურებს, რომლებიც მოუწოდებდნენ ასიათასობით ამერიკელი ბავშვის უფლებათა დაცვისათვის, იმის საჭიროებისათვის, რომ შეეჩერებინათ ბავშვთა სულსა და ცხოვრებაზე დანაშაულებრივი ძალადობა. მაგრამ ვერაფერი ვერ ვიპოვე. ვერც ნახევარი, ვერც მესამედი, ვერც მეოთხედი, ვერც მერვედი იმ სათაურებისა, რომლებიც შჩარანსკის ეძღვნებოდა. მე ვერ ვიპოვე მოწოდება დახმარებოდნენ ამერიკელ ბავშვებს, სამაგიეროდ ყოველ-ყოველ! — გაზეთში ვნახე მასალები იმის შესახებ, თუ როგორ უჭირთ ცხოვრება მოსკოვში საბჭოთა დისიდენტებს. მე ვნახე უამრავი ფოტოსურათი ენერგიული ქალისა, რომელიც თავს შჩარანსკის ცოლად ასაღებს, — ხან სენატორებთან, ხან კონგრესის წევრებთან, ხან ცნობილ ადვოკატებთან, ხან თვით ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, რომელიც „დახმარებას“ დაჰპირდა. მაგრამ მე ვერ ვნახე ცნობა თორმეტი წლის სენდი დაგლასის სიკვდილის შესახებ და ფოტოსურათები მისი თანატოლებისა, რომლებსაც იგივე ხვედრი მოელით. და თეთრ სახლში, როგორც მივხვდი, არც ერთი დასაღუპად განწირული ბავშვი არ მიუღიათ იმისათვის, რომ რაიმე დახმარებას დაჰპირებოდნენ. თავისდა საუბედუროდ, ბავშვებმა არ იციან რომ ისინიც ადამიანები არიან და მათაც უნდა ჰქონდეთ ადამიანის უფლებები. მათ არ ეხერხებათ საკუთარი უბედურების რეკლამირება. დიახ, ალბათ ვერც ვერასოდეს ისწავლიან. თუნდაც იმიტომ, რომ მათი უბედურება ნამდვილი უბედურებაა.

— მე ვფიქრობ, რომ ამერიკული პრესა რამდენიმე მიზეზის გამო დუმს, — ამიხსნა ნაცნობმა ამერიკელმა ჟურნალისტმა. — ჯერ ერთი, ქვეყნის არც ერთი მესვეური არ არის დაინტერესებული, რომ ეს შემზარავი სკანდალი საჯარო გახდეს.

... გვიან ღამით, როცა პოლიციის მანქანით ქალაქში მრავალსაათიანი მოგზაურობიდან შინ დავბრუნდი და რადიო ჩავრთე, სხვა ახალ ამბებს შორის მოვისმინე, რომ სენატორ რიჩარდ შვეიკერს კვლავ აღუძრავს სენატში ერთი საბჭოთა გოგონას უფლებების „დაცვის“ საკითხი. ეს გოგონა, თურმე, შვეიკერისა და ზოგიერთი სხვა სენატორის აზრით, სსრ კავშირში მოკლებული ყოფილა სამედიცინო მომსახურებას. ამიტომ ამერიკის სენატს, რომელიც დიდად შეწუხებულია სწორედ მისი ჯანმრთელობით, მიაჩნია, რომ იგი აუცილებლად უნდა ჩავიდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მშვენიერ ქვეყანაში, სადაც ბავშვები, საერთოდ, მზრუნველობითა და ყურადღებით არიან გარემოცულნი.

სხვა დროს ყურს არ გათხოვებდი მორიგ ანტისაბჭოურ ლაყბობას. გამოვრთავდი რადიოს, და მორჩა. მაგრამ ახლა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც შევიტყვე და ვნახე, სენატორის ეს სიცრუე იმდენად აღმაშფოთებელი იყო, ისე აშკარად გეცემოდა თვალში თვალთმაქცობა, რომ თავი ველარ შევიკავე და მეორე დილას კაპიტოლიუმის ბორცვზე შვეიკერის მისაღებს დავურეკე. როცა შეიტყო, რომ საბჭოთა ჟურნალისტი ვიყავი, მდივანმა სენატორის თანაშემწესთან, ვინმე კლენ ტეილორთან შემაერთა. აი ჩვენი საუბარი:

— მინდა ვიცოდე, რით არის გამოწვეული, რომ სენატორი ესოდენ აქტიურად ზრუნავს მოსკოვში მცხოვრები ერთი საბჭოთა გოგონას ჯანმრთელობისათვის?

— სენატორი აქტიურად მონაწილეობს ბავშვების ბედში, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი. იგი სენატის ადამიანთა რესურსების კომისიის წევრია.

— თუ ასეა, მას, ალბათ, ამერიკელი ბავშვების ბედიც აინტერესებს?

— (ფრთხილად) ჰო, რა თქმა უნდა.

— ერთი მიბრძანეთ, დაინტერესდა თუ არა სენატორი იმ ხუთასი ათასი ამერიკელი ბავშვის ბედითა და ჯანმრთელობით, რომლებიც ჩათრეული არიან ბავშვთა პორნოგრაფიაში? ან იმ მილიონი ბავშვის ბედით, რომლებიც პროსტიტუციას მისდევენ?

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. წელს იანვარში სენატორმა მხარიც კი დაუჭირა კანონპროექტს, რომლითაც აკრძალულია ერთი შტატიდან მეორეში პორნოგრაფიული ფილმების გატანა...

— ხომ ვერ მეტყვით, რა შეიცვალა ბავშვთა მდგომარეობაში მას შემდეგ, რაც სენატორმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს?

— სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემები არა მაქვს...

— მაშინ შემიძლია გაცნობოთ, რომ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, ყოველდღიურად უარესდება. ყოველდღე გრძელდება ასიათასობით ბავშვის სულიერი და ფიზიკური მკვლელობა.

... რით ხსნით, რომ ამერიკის პრესა ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობს მოსკოველ გოგონას და არავითარ ყურადღებას — ამერიკელ ბავშვთა ტრაგედიას?

ხანგრძლივი პაუზა ვაშინგტონში. ძალზე ხანგრძლივი. შემდეგ მთხოვეს მეთქვა ჩემი გვარი და სახელი. ასო-ასოდ, თუ შეიძლება. რომელი სააგენტოს წარმომადგენელი ვარ, ასევე ასო-ასოდ, თუ შეიძლება. მისამართიც. მე ყველაფერს კეთილსინდისიერად ვასრულებ. და ჩემი მხრივ ვთხოვ გამომიგზავნონ, თუ შესაძლებელია, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეიცვალა უკანასკნელი წელიწად-ნახევრის მანძილზე იმ ამერიკელი ბავშვების ტრაგიკულ მდგომარეობაში, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობდით. მპირდებიან. თუმცა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, მაგრამ მპირდებიან.

უკვე რამდენიმე დღე გავიდა იმ ტელეფონის საუბრის შემდეგ, ვაშინგტონიდან კი არავითარი ინფორმაცია არ გამოუგზავნიათ ამ თემაზე.

გ. ბოროვიკი.

ნიუ-იორკი.

ახალი ამბების სააგენტოს სპეც. კორესპონდენტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ № 194.

# ფოტოობიექტივი ამხილებს



კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შებღალვა, პოლიტიკური მრწამსისათვის დევნა, დემონსტრანტთა დარბევა უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

სურათზე: ასე გაუსწორდნენ ლონდონის ერთ-ერთი ფაბრიკის გაფიცულ მუშებთან სოლიდარობის დემონსტრაციის მონაწილეებს. მშრომელთა მოთხოვნებზე რეპრესიებით პასუხის გაცემა ბურჟუაზიული დემოკრატიის ნაცადი იარაღია.

კამერა პრესა — ხაქდისის ფოტო.

## უმუშევრობის მსხვერპლნი

ოტავა. (საქინფორმი). კანადის ერთ-ერთ დიდ ქალაქში — ტორონტოში იზრდება თვითმკვლელობათა რიცხვი. ტორონტოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა დ. ვაგნერმა აღიარა, რომ ეს გამოიწვია ეკონომიკურ სიძნელეთა ზრდამ, კერძოდ, უმუშევრობის მაღალმა დონემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით იმატა თვითმკვლელობის შემთხვევებმა 20-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში. როგორც ცნობილია, კანადის ახალგაზრდობას შორის უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად სჭარბობს ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

## წყალდიდობა ინდოეთში

დელი. (საქინფორმი). გადაუღებელი წვიმების შედეგად ადიდდა განგი და ინდოეთის სხვა დიდი მდინარეები. ჩრდილო ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში დაიტბორა 1,7 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწები. წყალდიდობამ 29 კაცი იმსხვერპლა.

# კამპუჩიის პოლიტიკა ჰეგემონიზმის პოლიტიკაა

### კანადის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის უილიამ კაშტანის ინტერვიუ

კანადის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა უილიამ კაშტანმა სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიით 17 აგვისტოს გადმოცემულ ინტერვიუში გაგვიზიარა შთაბეჭდილებანი ვიეტნამში თავისი ამასწინანდელი მოგზაურობის შესახებ. ვიეტნამელ ხალხს, თქვა მან, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აღადგინოს ქვეყანა, ხელახლა ააშენოს იგი. ეს მათ ენერგიას მატებს.

ილაპარაკა რა ქვეყნის ახლანდელ სიძნელეებზე, მან აღნიშნა, რომ ამ სიძნელეებიდან მთავარია საშიშროება, რომელიც დაკავშირებულია ვიეტნამის მიმართ პეკინის პოლიტიკასთან.

სავსებით ცხადია, რომ ჩინეთი ვიეტნამს სამი მიმართულებით უტევს. პირველი — ეს არის მისი პროვოკაციები კამპუჩია-ვიეტნამის საზღვარზე. პეკინის ხელმძღვანელობა კამპუჩიის უბიძგებს ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიისაკენ. ამასთან პეკინის მიზანია ზეწოლა მოახდინოს ვიეტნამზე, შეაცვლევინოს პოლიტიკა. და ამ თავის მისწრაფებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველა საშუალებას მიმართავს.

მე ვნახე ვიეტნამ-კამპუჩიის საზღვარზე აგრესორების მიერ გამოყვანილი ტანკები, ნაღმსატყორცნები, სხვა იარაღი. მასზე იყო დამღა „დამზადებულია ჩინეთში“. ეს ვიეტნამის მიმართ ჩინეთის პროვოკაციული პოლიტიკის მხოლოდ ერთი მაგალითია.

პეკინის ვიეტნამის საწინააღმდეგო პოლიტიკის მეორე მიმართულებაა „ხუაციაოს“ — ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებ ჩინური ეროვნების პირთა პრობლემის გამოყენება. ჩინეთის ხელმძღვანელობა აკეთებს ცილისმწამებლურ განცხადებებს, თითქოს ეს ადამიანები დისკრიმინაციას განიცდიდნენ. ისინი ამ საკითხს იყენებენ ვიეტნამზე ზემოქმედების საშუალებად. ამ მიზნით ჩინეთი პროვოკაციულად აწყობს ინციდენტებს ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე.

ასე, რომ პეკინს ხუაციაოს ბედი არ აწუხებს. ამ საკითხს აღძრავენ მხოლოდ იმისათვის, რომ გაართულონ მდგომარეობა, ზემოქმედება მოახდინონ სოციალისტურ ვიეტნამზე.

ძირი გამოუთხარონ ვიეტნამს შიგნიდან, ხელი შეუშალონ იქ სოციალიზმის მშენებლობას — პეკინის ხელმძღვანელობის მესამე მიზანია. პეკინმა ხელი აიღო ვიეტნამისათვის მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებაზე. მე მითხრეს, რომ ჩინეთი ვიეტნამს შეპირებია, ხიდს აგიშენებო. ჩინელმა სპეციალისტებმა სამუშაოთა ნახევარი შეასრულეს, მაგრამ შემდეგ შეწყვიტეს — ისინი უკან გაიწვიეს. იგივე ბედი ხვდა წილად მეტალურგიულ ქარხანას, სხვა სამრეწველო საწარმოებს, რომელთა აშენება თავის დროზე იკისრა ჩინეთმა. რაზე მეტყველებს ყოველივე ეს? იმაზე, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა დაპირებანი არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ. პეკინის დღევანდელი საქციელი გაწაფული ღალატია.

პეკინის ძირითადი მიზანია ვიეტნამს მიაღებინოს „სამი სამყაროს“ კონცეფცია. ეს პოლიტიკა კი, როგორც ვიცით, ერთ სიბრტყეში აქცევს ორ სოციალურ სისტემას — სოციალიზმსა და კაპიტალიზმს. ვიეტნამი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია მიიღოს ეს კონცეფცია. ამ ქვეყანაში ვერ შეურიგდებიან საბჭოთა კავშირისადმი ჩინეთის მტრულ დამოკიდებულებას, რადგან იციან, რომ სსრ კავშირი პრინციპულ პოზიციას ადგას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ყველამ, ვისაც კი შევხვდი, მითხრა, რომ ვიეტნამი ვერ დაეთანხმება ჩინეთის მისწრაფებებს, რომელთა მიზანია ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას შეაცვლევინონ საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აცდინონ სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ყველგან, სადაც კი ვყოფილვარ, თქვა შემდეგ უ. კაშტანმა, ვნახე, თუ რა მეგობრულად ეკიდებიან ვიეტნამელები საბჭოთა კავშირს. ამ ქვეყანაში კარგად იციან, რა მხარდაჭერას უწევდა და უწევს მას საბჭოთა კავშირი. ყველგან მეუბნებოდნენ, რომ მზად არიან წინააღუდგნენ ჩინეთის ხელმძღვანელობის საშიშ ჰეგემონისტურ ხრიკებს.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ამოცანაა სრული სოლიდარობა გამოუცხადოს ვიეტნამის მთავრობას, კომუნისტურ პარტიას, თავისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ერთიანობისათვის მებრძოლ, სოციალიზმის მშენებელ ვიეტნამელ ხალხს.

დასასრულ უ. კაშტანმა საბჭოთა ადამიანებს უსურვა წარმატება შრომაში, მეათე ხუთწლედის ამოცანების შესრულებაში. ყოველი თქვენი მიღწევა, თქვა მან, ეს არის წვლილი მშვიდობისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. (საქინფორმი).

